



საკოლიტიკო, საეპიკონო და სალიტერატურო ნაზარინი გაზეთი; გამოღის ჟოველ ქვირა ღდეს.

№ 19

მ ა ი ს ი 4 1897 წ.

№ 19

შინაგანი: ცხოვრება და სამართალი გ. წერეთლისა. — ჭენიკ იბსენი. — ჩეენი ცხოვრების წერილმანი Amicus-ისა. — სხვა-და-სხა ამჟავი. — \* \*, ლექსი ცახედისა. — „ეგლის“ კორესონდენციები. — ისმალეთის ამბები ისე რაჭელისა. — საშიობლოსათვის თავგანწირული ქალი. — დურე მეგრელის წერილის გამო გ. წერეთლისა. — მე თუ ის, მოთხრობა განდეგალისა. — მცირე შენიშვნა გ. წერეთლ-სა. — პ. ბლო იგრაფია, პ. სა-ძესი. — წერილები რედაქციის მიმართ. — „ჭიათურის შავი ქეის მწარმოებელ სააქციონერო ამხანაგობის“ შესახებ, ი. კაკაბაძისა. — კვალის ფოსტა. — ტორაუ და განცხადებანი. !"



ჭენიკ იბსენი.

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოთ აცხადებს, რომ მსურველთ ყოველ დღე შეუძლიათ მიიღონ ქალაქის კანცელარიაში ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს ამა წლის 8 აპრილის დადგენილების თანახმათ შესწორებული, საბოლოო სია აღმომჩჩეველთა, რომლითაც ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნები უნდა ამოიჩჩენ 1897—1901 წლისათვის.

(3—3)

### ცხოვრება და სამართალი.

**ი**დი ხანი საქართველოში და საზოგადოო კავკასიის კულტურულ (ისტორიულათ განვითარებულ) ერთა შორის ისმის უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ სამართალი კავკასიის ერთა ცხოვრების მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს. თეთი შეხედულობა სხვა-და-სხვა რჯულისა და მოდგმის მცხოვრებთა სხვა-და-სხვა დანაშაულობაზე, სხვა-და-სხვა სამოქალაქო წეს-რიგის დარღვევაზე სულ სხვა-და-სხვა ნაირია, რომელიც ერთსა და იმავე კანონ-დებულების კალაპოტში არ ჩატევა. ბევრია ისეთი ჩვეულებები, განსაკუთრებით მთის ხალხებში,

რომელიც უძევლესი დროიდან შესისხლხარცებიან ერის არსებას. ამ ჩვეულებათა ზნეობრივი საზომი სულ სხვა და ახლანდელ კანონდებულებათა საზომი კიდევ სხვა. ამ უკანასკნელის საზომით რომ განისაჯოს მოქმედებანი პირების საზომისა, ამითი სამართლიანობას თუ დაკლდება, თვარა არა შეეძინება-რა.

აეხსნათ მაგალითით. მთიულს გასათხოვარი ქალი ჰყავს. იგი მოეწონა მეორე საზოგადოების ახალგაზღდას. დედ-მამანიც თანახმანი არიან, როგორც ქალისა, ისე ვაჟისა, რომ დამოუკიდენ; მაგრამ სამწუხაროთ ქალის დედ-მამის ოჯახში ვინმე ოჯახის წევრი გარდაიცვალა და ლხინი-მეჯლისი წლამდის მოშლილია. შეეყარებულ ქალსა და ვაჟს კი ეჩქარებათ დაქორწინება. ორივე მხრივ დედ-მამებიც თანაუგრძნობენ ასეთ საქმეს, მაგრამ ადათის დარღვევა შეუძლებელია. აი, ამ შემთხვევაში ვაჟი იტაცებს ქალს დედ-მამის ოჯახიდან იმ განზრახვით, რომ ადათიც არ დაირღვეს და შეეყარებულების მოთხოვნილებაც დაკმაყოფილდეს. მაგრამ კანონმდებლობა იხომი მოტაცებას სისხლის სამართლით სჯის და მაღალი სიუკარულისაღმი გატაცებულ ახალგაზღდას ციმბირში გზავნის. რა თეალით უნდა შეხედოს ხალხმა ასეთ განსჯას. უეჭველათ, აქ ირლვევა ძირითადი შეთანხმება კანონმდებლობასა და ცხოვრებას შორის. რაც ცხოვრებას ზნეობრივათ მიაჩნია, ის მართლმსაჯულების შეხედულებით დიდი უზნეობა და ბოროტმოქმედებაა. ამ სახით სისასტიკე მართლმსაჯულებისა პირდაპირ ჩაგრავს ზნეობრივ მოთხოვნილებას ცხოვრებისას და ეს უკანასკნელი მტრული თვალით დაუწევეს უურებას იმ მართლმსაჯულებას, რომელსაც მხედილობაში არა აქეც ძირითადი მოთხოვნილება და ინტერესი ცხოვრებისა. ამ შემთხვევაში მართლმსაჯულება მართლაც თვალ ახევული დადის ერში და მისი ბასრი მახეილი ხშირათ მართალ კაცს დაეჭდობა ქედზე. ყოველთვის ასეთს არა ნორმალურ მდგომარეობაში ვარდება მართლმსაჯულება, როდესაც მისი ხელმძღვანელი კანონმდებლობა არ არის ისტორიულათ მომკილი იმ ერის საშოდან, რომლის გასამართლებაც მას უტევირთნია.

რაც უფრო ხანი გამოდის, ისე უფრო თან-და-თან ცხადათ ირკვევა, რომ კავკასიის ერთა შორის შემოლებული კანონმდებლობა არ შეესაბამება თვით სხვა-და-სხვა მოღმისა და სხვა-და-სხვა განვითარების ერთა ცხოვრებას, არ არის მასთან კრულათ შეხამებული და ზედგამოჭრილი. ესე ყოველივე უკმი საკმაოთ იცნო და შეიგნო თვით უზენაესმა ჩვენმა მთავრობის კანონმდებლობაში. სენატორი კონის მოგზაურობამ და სამოსამართლო საქმეთა მის მიერ

გამოძიებაშ საკმაო ნათელი მოპფინა ჩვენი მართლმსაჯულების ნაკლულევანებას და ახლა, კუთაისიდან, თვით იუსტიციის სამინისტროს გაუგზავნია ქუთაისის ოლქის სასამართლოსთვის მინდობილობა, რომ შეიტყოს მან, თუ რამდენათ შესაძლებელია, რომ მართლმსაჯულებაში ხალხის წარმომადგენელებმაც მიიღონ მონაწილეობა. ამასთანავე გამოუგზავნია სამინისტროში შედგენილი პროექტიც ისეთი მართლმსაჯულების დაწესებულებისა, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვა-და-სხვა წილების წარმომადგენელთა, თუ რომ მათ საქმაო ქონებრივი და განვითარების შეძლებულობა (ცენზი) ექნებათ.

ჩვენ არ ვიცით, რა გზას დაადგება ქუთაისის ოლქის სასამართლო ამ შემთხვევაში. როგორც ქუთაისიდან მოსული ამბებით შევიტყოთ, ოლქის სასამართლოს ქუთაისის ქალაქის მოურავისთვის უცნობებია ეს ამბავი და იმასაც შეუკრებია ქუთაისის საზოგადოებიდან უფრო დახელოვნებული წარმომადგენელნი სამოსამართლო საქმეებისა, მაგრამ, ჯერ საქმე არაფრით არ გათავებულა და, ჩვენის აზრით, ვინც კი სამართლიანათ შეხედავს ამ საქმეს, არც გათავედება. რამდენია ისეთი კაცი, რომელსაც არავითარი ქონება არა აქვს, მაგრამ ისე დახელოვნებული და მცოდნეა ჩვენი ცხოვრების ეითარებისა, მასი ზე ჩვეულება ისე ზედმიწევნით აქეს შესწავლული და ისეთი უურდაგდებულია, რომ არავითარი დანაშაულობა, რაც კი ჩვენ ხალხში მოხდება, არ გამოეპარება და დამაშავეს კვალსაც, როგორც კარგი ნაკეში ცხოვრების ვარამში, ისე მიიკვლევს ხოლმე. მოსამართლე ვალდებულია ზედმიწევნით იცოდეს სახელმწიფო ენასთან იმ ხალხის ენაც, საცა ან დანაშაულობა მომზღარა და ან სამოქალაქო უულება დარღვეულა. თავი და ბოლო მართლმსაჯულებისა ის არის, რომ მასი კანონმდებლობა აღმოცენილი იყოს იმ ხალხის კულტურულ ნიადაგზე, საცა ეს მართლმსაჯულება წარმოებს და თვით მართლმსაჯულებას კარგათ ზედმიწევნით ესმოდეს იმ პირთა ენა, რომელთაც ასამართლებს, ხოლო ბრალდებულებსაც ზედმიწევნით ესმოდეს მართლმსაჯულების ენა. სანამდის მოსამართლე და ბრალდებული იმ მდგომარეობაში იქნებიან, რომ შეუამავალი დაჭირდებათ ხოლმე ერთმანეთის გასაგებათ, მანამდის არც მართლმსაჯულებას, არც მის კანონმდებლობას არ ექნება გზა გაკვლეული ხალხის გულისაკენ.

გ. წერეთელი.

## კენრიკი იბსენი.

**ე**ნრიკი იბსენი ჩრდილოეთის შეილია იგი დაიბადა 1828 წელს ქალაქ სკონში, ნორვეგიაში, და დღესაც ცოცხლობს. თავისი სანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მან მთელი ევროპის ყურადღება დაიმსახურა თავისი დრამატიული ნაწერებით. სიყმაწეილეში იბსენი აფთავჭმი მსახურებდა შეგირდათ; შემდეგ გაზრდის გამომცემლათ და თეატრის მმართველათ იყო. თავისი პირველი დრამა „კატილინა“ მან 1849 წ. გამოაქვეყნა, რომლითაც ომი გამოუცხადა საზოგადოებას, აღამიანის გულის ეგოიზმსა და ტირანიას. იბსენი მისმა შეიღმადირამა შემოსა დიდებით: „საზოგადოების საძირკევლი“, „ნორა“, „აჩრდილნი“, „ხალხის მტერი“, „გარეული იხვი“, „როსტერსპოლში“, „ბორკმანი“. ამ ნაწერებში ნათლათ გამოცხადდა იბსენის ძლიერი ნიჭი: ამ დრამებში ცოცხლობს მაღალი მხატვარი და მ სოფლის ვითარებაზე ღრმათ დაკვირვებული ფილოსოფოსი. იბსენი ნატურალისტური სკოლის მოთავე-დამფუძნებელია, არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ გერმანიაშიც. მან ნათლათ დაანახა ქვეყანას, რომ ამ სოფლის ბოროტება უსწორო გზაზე დაყენებულმა აღამიანის ნებამ შექმნა. აღამიანის ნების მორჯულებაა ქვეყნის მხსნელი. იბსენის შემოქმედებას რაღაც იღუმალი შუქი დაჰკრთის: თითქო ეს მწერალი ამა და იმ სოფლის საზღვარზე ცაცხლობს და უხილავ ძალა ვითარებას გვაგრძინდინება ხოლმე სიმბილიური, იღუმალი სურათებით.

## ჩეენი ცხოვრების წერილმანი.

**ე**რ მკითხველებს ცშირათ სმენიათ მერიდან ამონაჯროლი სიტყვა „პარტიობა“. პარტიობა ბუნებით მოდგამს იმერელ კაცს, მის ძვალობილშია გამჯდარი. იმერელი კაცი იბადება არა, როგორც ჩეენულებრივა ადამიანი, არამედ როგორც რომელიმე ჯგუფის, პარტიის წევრი. მომავალში ჩეენი მშობლური მეცნიერება, უკეთელია, დინჯი თვალით დაკვირდება ახალ-დაბადებულ იმერელ ბალების ჭყარიდას და შიგ სხეა-და-სხეა იმერელ პარტიების ძირულ კილოს ამ. აჩენს.

ამ მოვლენის გეოგრაფიულათ, ან ისტორიულათ ახსნა ძნელია. რამ დაბადა ეს საყარელი მოვლენა: იმერეთის ბუნების უსწორ-მასწორ ილრო-ჩორი, ხადაც „ოლროს“ კაცი „ჩოლროს“ კაცს ვერ

ხედავს, რომელიმე გორაკის სერითა ან ფერზე არის მისგან დაშორებული და მასთან თანხმათ ვერ მოქმედობს, თუ ამ პარტიობის მიზეზი თვით იმერე-თის ისტორიისაგან შემზადებული იმერელი კაცის ოლრო-ჩოლრო ხასიათია. სამწერაროთ ეს საკურად-ლებო კითხვა ჩეენ მომავალ მეცნიერებს უნდა გადა-ვცეთ და ახლა ფაკტებზე გადავიდეთ.

\* \* \*

გურიაში ერკეთის საზოგადოება ორ დასათ გა-იყო, თავისი ერთათ ერთი სკოლის თაობაზე. ერთმა ნახევარმა ლამის წინა ჰკრას მეორე ნახევარს, გა-დალმა გადააკოტრიალოს, თეითონ გადმოლმა გადმო-კოტრიალდეს და თავის სკოლას მაღლა ლეთის ანა-ბარათ ტოვებს. ერკეთის საზოგადოებას სრულებით არ ჰქონია შევნებული თავისი სახელი. მას ალბათ „საზოგადება“ ხელიყი ჰკონია, გურული „ტინტი-ლა“, რომელიც, ორათაც რომ გაპოთ, ცალ-ცალკე ცოცხლობს: ტანი ცალკე „ტინტილობას“ და კუდი ცალკე.

გვერდმუნის პატივცემული ერკეთის საზოგადო-ება, რომ ამნაირათ დიდხანს ვერ იტინტილებს და თავისი სასწავლებლის საქმეს მაღლ ჩააქრობს.

პირადი სარგებლობის მძებნელი ცოდვილობენ ერკეთის საზოგადოებაში, რათა მას სოფლები-იანე-ული, ბუკის ციხე და საყავის ტყე ზოგლიჯონ და ფარცხმის საზოგადოებას მიაკრან, და ანგარების მი-მდევართა სულის ვითარება ხომ ცნობილია: ისინა ტკბ-ლ საკმეველს უკმერეს ხოლმე მუშა ფუტკრებსა, ჩუმათ გმოაბრუებენ, აქეთ-იქით დაქსაქსვენ და თა-ფილს დაისაკუთრებენ, შეგ ხელების საფათუროთა და ენის სალოკათ.

\* \* \*

ახლა ს-ლნალში გადავთრინდეთ, მკითხველო. ამ სასიქადულო ქალაქში დაიბადა ამას წინათ თვით-მართველობა, რომელსაც იმერელ პარტიობასთან არაური აქეს საერთო. ეს მოვლენა ჯერ-ჯერობით სრულებით ნორჩ-უსუსურია, ფრთებ-უსხმელი, ნაზ-ბუნლოლიანი, ფეხ-სულტრ და ჩბილ-ნისკარტიანი. ასე გასინჯეთ, ქ. ს-ლნალს თვით-მართველობა ჯერ კი-დევ თავის საბუდარში წიავ-წიავობს, გარეთ ფეხიც არ გაუდგამს და იქვე ახლოს ყოველ დოვ არსებულ სილნალის ბაზარშიც არ გაუტარ-გამოუტარებია თა-ერის ნორჩი აგებულება; პარტია ფეხები არ უვარჯიშე-ბია და თავისი მდგომარეობა არ შეუცნია. ამ ბაზარ-ში კი დიდებული აურ-ზაური სუუეს. მის გარეშემ ჩამომწერივებულია ღონიერ გაჭართა ღუქნები. ეს ვაჟა-ფატნები განლავან დღეს სილნალის ქალაქის მმარ-თველნი, მისი ბაზრის განწესმრიგებელნი. ისინი გა-მოჰყოფენ ხოლმე თავ-ანთ საკუნაოებიდან ფუნჩუ-

ლა ხელს იმ განზრახვით, რომ იქვე თავ-მოყრილ საწყალ სოფლის ხალხს მოტანილი ნაწვავ-ნადავი სა-ნოვავე მუქთათ წაგლიჯონ, და, თუ არ მოუხდათ, შეპყოფენ ფუნჩულა ხელს და გამოჰყოფენ ღონიერ ფეხს და მისი შემწეობით სოფლის ხალხს ბაზრიდან კოტრიალ-კოტრიალით ისტუმრებენ. ყველა ეს მუქ-თათ ჩაუდისთ ხელ-ფუნჩულა და ფეხ-მძლავრ სილ-ნალის ვაჭრებს. ვთქვათ, გაეყარა სილნალელი გლეხი „ვის“—სილნალელ ვაჭრს, მის დუქანს მოშორდა, აქ უეჭველათ „ეუსი“ შეეცრება — სილნალელ პოლიციელს, რომელიც მას გასაქან ადგილს არ აძლევს, მის სა-ნოვავეს მიჰთანტ-მოჰვანტას ხოლმე. ასე საცოდა-გათ არის საწყალი სილნალელი გლეხი ამ ორ მრის-ხანე მოვლენათა შორის გაკვეხებული და არსაიდან შეელას არ ელის. ამ ღრის კი ქ. სილნალის თვით მართველობას თუთხმეტი გაცი განაგებს, თუთხმეტი ვაჭკაცი კაცი, იმისთანა პატია ქალაქში, სადაც ამ ვაჭ-ბატონებმა, ერთმანერთს რომ ხელი მისცენ, სილნალს ცოცხალ ზღუდეთ შემოველებიან, ქალაქის მტრით შუაში მოიმწყელევნ და წესირებას ასწავლიან. ეს ვაჭკაცი კი ჯერ-ჯერობით, ადგილობრივ, თავის საბჭო-საწიაფ-წიაველში წიებან.

Amicus.

### სხვა-და-სხვა ამბავი.

**G**იმდინარე მაისის ოცს დანიშნულია თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა მორიგი კრება. კრება განიხილავს: მთავრობის მიერ მომხდარ რეებითის შესახებ მოხსენებას, 1896 წლის ანგარიშს და 1897 წლის ხარჯთ-ალრიცხვას, საზოგა-დო საჭიროებისათვის ფულის განაწილებას, ვენახების მიღებას გირაოთ, ბანკის წევრთა მოხსენებას სა-ზოგადო კრების წესის შეცვლის შესახებ, მოხსენებას დასაგირავებელ მამულების დაფასების წესდების შესახებ, წინადადებას ბანკის 49 და ცალკე 60 წევ-რის შესახებ კრედიტის გაიაფებისა სარგებლის შე-მცირებით, რომელიც ერთმევათ მოგირანტ ბანკის მართვა-გამგეობისა და სხვა ხარჯისათვის და სხვ.

ამავე კრებაზე უნდა მოხდეს არჩევანი თანამდე-ბობის პირთა, ნაცვლათ ზედმხედველ კომიტეტის წევრთა, ბანკის გამგეობის თავმჯდომარისა, დამფასე-ბელი კომისიის ერთის წევრისა და გამგეობის წევრთა ორის კანდიდატისა, რომელნიც რიგით ანებებენ თავს სამსახურს.

\* \* \*

გამ. „იო. 0603.“—ს წერენ ქუთაისიდან იუსტი-ციის სამინისტრომ წინადადება მისცა ქუთაისის ოლ-ქის სასამართლოს, განიხილეთ და განსაჭერ, რაო-დენათ შეიძლება ქუთაისის გუბერნიაში ხალხს ნება მიეცეს მართლ-მსაჯულების საქმის გაძლიერებით. სამინისტრომ ამასთანავე გამოგზავნა პროექტი აგრეთ წოდებულ შეფფნა სასამართლოს და ასების შე-სახებ, ე. ი. სამართალში მონაწილეობის მაღების ნება უნდა მიეცეთ არჩეულ წარმომადგენელებს სხვა-და-სხვა წოდებისას, რომელთაც განათლებისა და ქონებრივი ცენზი უნდა ჰქონდეს და მთავრობის მიერ დანიშნულ მოსამართლეებთან ერთათ უნდა გადა-წყვეტონ, დამწაშავეა თუ არა ბრალდებული და რა სასჯელი უნდა გადაუწყვიტონ. ამ პროექტის განსა-ხილველათ ბევრი მიუწვევია ქუთაისის ოლქის სა-სამართლოს თავმჯდომარეს, იურისტები და არა იუ-რისტებიც. გამოგზავნილ პროექტით განათლების ცენ-ზათ გიმანაზიის ექვს კლასიანი ცოდნა უნდა იქნეს. ამ კრების აზრით ჩევნში ეს ცენზი დიდია, ოთხი კლასის ცენზიც საკმარისი უნდა იქნესო. ზოგიერთთა აზრით ცენზისათვის რუსული ენის ცოდნაც საკმარი-სიაო. საბოლოოთ არა დაუდგენიათ-რა, რადგან მო-მზადებულნი არ იყვნენ და სხვა ღრისითვის გადად-ვეს ამ საქმის განხილვა.

\* \* \*

მომავალი წლის 1 იაერიდან ამიერ-კავკასიის ქა-ლაქებში და დაბებში სულზე გაწერილ გადასახადის ნაცვლათ, სახელმწიფო გადასახადი უძრავ ქანებაზე გაიწერება. („იო. 0603.“)

\* \* \*

უმაღლესი ბძანებით დაარსებულ იქმნა კაშისია, მინისტრ ი. ნ. დურნოვოს თავმჯდომარეობით, რო-მელმაც უნდა გამოიკვლიოს ღონის-ძიებანი, რუსე-თის სახელმწიფოში თავად-აზნაურთა მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. პირველი განსახილველი საგანია: თავად აზნაურთა მამულების დავალიანება სათავად-აზნაურო ბანკებში.

\* \* \*

უკანასკნელ აწერიდან აღმოჩნდა, რომ მთელ რუსეთის იმპერიაში, ფინლანდიას გარდა, 127 მი ლიონამდის ხალხი ცხოვრებს.

\* \* \*

კავკასიაში ფილოქსერასთან საბრძოლველათ

წელს მხოლოდ 104 ათასი მანეთია გადადებული, ამერიკული გაზის გასაერცელებლათ — 41,000 მან.

\* \*

15—20 მაისამდის შუმტაიდში საჭირო და სასარგებლო ფრინველთა გამოფენა გაიმართება, სადაც ჯილდო მიეცემა საუკეთესო ჯიშის ფრინველთა გამომფენს.

\* \*

„Hov. 063.“-ს სიტყვით კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი შუმდგომლობს, რათა მიმღინა- რე წლიდან კავკასიში ხალხის განათლებისათვის მეტი ფული იქნას გადადებული: 50,000 მან. ერთ ბაშათ და 29,965 მან. ყოველ წლივ; გარდა ამისა ყოველ წლივ 12,000 მ. იმ სოფლებისათვის, რომ- ლებიც სილარიბის გამო თავიანთ სკოლებს ვერ ინახენ.

\* \*

დრამატიული საზოგადოების კრება აპრილის 27, კეირას არ შედგა, რადან წევრთა საკმაო რიცხ- ვი არ დაესწრო. ყველა ეს „არ ახალია, ძელია“.

\* \*

აპრილის 27-ს რომ თბილისში მარტი (დო- ლი) მოხდა, პირველი საჩუქრები ერგო შემდეგ ცხე- ნებს: „დელიბას“, „ზულქადაროვის ცხენს“, „დამირს“, მეორე ძმის ზულქადაროვის ცხენს, „ვოტუმს“, შმიდტის ცხენს და „ლანდშაფტს“, თ. მხედის ცხენს.

\* \*

ახალციხის მერუეთა კრებაზე აპრილის 21 მო- ჩეულნი იქმნენ მირაბათ: (მერუეთ) სულეიმან-ბეგი ერისთავი, მის კანდიდატათ — ტრდატ აკოფჯანოვი; წევრებათ — პირველი განყოფილებისა — მიხაილ მე- ფისაშვილი, მის კანდიდატათ — ახმედ-იშიკ-ბეგ ზადე, მეორე განყოფილებისა — მოლა მურად-მადატოლლი, მის კანდიდატათ მოლა აზიზ-ოლლი.

\* \*

1895 წლიდან პარიჟში იყო გამართული სა- ქელ-მოქმედო ბაზარი, რომელმაც ამ თარის წლის განმავლობაში შეიც მილიონ ფრანკზე მეტი მოგება მისცა საქველ-მოქმედო საქმეს. მთელი პარიჟის საუკეთესო და შეძლებული წოდების წარმომადგენელ- ნი დადიოდენ ამ ბაზარზე სავაჭროთ, უფრო იმის- თვის, რომ საქველ-მოქმედო საქმისთვის ცოტა ძვი-

რათაც რომ ეყიდნა კაცს რაიმე საეგაჭრო, მარცხ- ებათ და სასარგებლოთ მიაჩნდათ. უცბათ გასკდა ლამპა იმ დროს, როცა ბაზარი ხალხით იყო გავსე- ბული, ლამპიდან ფარდას მოედვა ცეცხლი და ათი წამის განმავლობაში მთელი ბაზრის შენობები, რო- მელნიც საერთოთ გადახურულნი და ხის მასალის- გან გაკეთებულნი იყვნენ, ერთ დიდ გარეგალებულ ცეცხლში იშვიდენ. პირელსაც ყვირილზე, ცეცხ- ლი გაჩნდათ, ხალხი შეშინდა და იწყო ერთმანეთზე მიწოდა ვიწრო გასავალ დერეფნებში. შეიქნა საში- ნელი ზრიალი და გულის გასაგმირა გოდება ცეცხლ- მოკიდებულთა. ხმელმა მასალამ, ბაზრის შენობები- სამ თოვის წამალსაცით იფეთქა და ერთ საათს არ გაუელია, რომ მთელი ბაზარი დაიფუქა და შიგ გა- მობუღული ხალხი ჭერეხივით ეყარა დატიტვლებული, დანახშირებული, ზოგს თავის ძელებიც დაწევდა და დახეთქოდა, იქიდან ტეინი გადმოდიოდა, ზოგს მუცელი დასკლომოდა და შიგნეულობა ჭიჭინებდა ქონით. ბევრი დიდი-გვარეულობის წევრი ქალი და კაცი, ზოგნი მეფეთა შთამომავალნიც კი და- ილუპენ. სხვათა შორის გრაფინა ალაცონისა, სა- ფრანგეთის კაროლის ლუდოვიკ-ფილიპეს შეილი- შეილი, დაიწვა. საფრანგეთის პრეზიდენტ ფორს მთელი გარეშე სახელმწიფოებისაგან მოუვიდა გუ- ლითადი მწერხარების და თანავრძნობის გამოსაცხა- დებლათ სამძიმრის წერილები.

\* \*

თბილისის საადგილ-მამულო ბანკის წლიური ან- გარიშიდან აღმოჩენილა, რომ გასულ წელს და ამ წლის აპრილის თვემდის ბანკს ჰქონია მოვება 168,411 მან. აქედან თბილისის თავადაზნაურობის საჭიროე- ბისთვის გადადებულია 58,944 მან. და 7 კ. სამე- ურნეო თანხის შესადგენათ 16,041 მან. და 16 კ., გამგების წევრთა სადივიდენტო 15,999 მან. და 10 კ., ეკსტრაორდინარი კაპიტალისთვის 8,420 მ. და 58 კ., ბოლოს ძირითად ფულათ გადირიცხა 233 მან. და 63 კ.

\* \*

თანაეთის მაზრიდან გვწერენ: წარსულ აპრილის თვეში შემთხვევით მომიხდა ამ მაზრაში გავლა და ვნახე, რომ სოფლის მოხელენი დარბიან სოფლებში და ფაცა-ფუცით ჰქონები კომლზე ოროლ შაურს. რომ ვკითხე, რისთვის გინდათ მეთქი მიპასუხეს: „ჩევნ გვიბრძნეს, კომლზე ოროლ შაური მოკრიფოთ აღწერის ფურცლების გადაწერისთვისათ“. მართალია, უნდა გადაწერილიყო სოფლის სასამართლოებისთვის

ის აღწერის ფურცლები, რომლებიც გამოგზავნილი იყო უმაღლეს მთაწოდისაგან, მაგრამ იმ პირობით, რომ სოფლის მამასახლისებს ებრძანათ-დაქირავებინათ ვინმე და გადაეწერინებინათ; მაგრამ, სამწუხაროთ, ამ საშუალებისათვის აქ არავის მიუმართავს. აქ პირდაპირ დაუბარებიათ მამასახლისები და უბრძანებიათ: კომლზე ოროლი შაური მოჰკრიფეთ და მ.ი.ი. აღწერის ფურცლების გადაწერისათვისაც. რომ ებრძანებინათ, მოიყვანეთ ვინმე და გადაეწერინეთო, შეიძლება იმისთანები აღმოჩენილიყვენ, რომ, თუ უსასყიდლოთ არა, ცოტა ნაკლებ ფასათ მაინც გადაეწერათ. თუმე იყვენ იმისთანა პირნიც, რომლებიც თანახმანი ყოფილან კომლზე 5 კაპ. გადაეწერათ. ზოგიერთები კიდეც მოურიგდენ სოფლის მამასახლისებს, კომლზე თითო შაური მოგვეცით და გადაგიწერათო, მაგრამ მამასახლისებისათვის აქ ამის ნება არ მიუციათ.

არ ვიცით რათ ისურვეს ისეთაც დაჩაგრულ გლეხების შეწუხება. იმედია ამ ამბავს ყურადღებას მიაქცევენ, საღაც ჯერ არს.

ვინმე მგზავრი.

(კუმღვნი ჩემს მეგობარს ს. ქ—ნს).



ძლეველი რაღაც ნიჭი,  
მოელენილი ზეცით ძალი,  
ვის გულშიაც ჩაშექდება,  
წნათობს, როგორც ცეცხლის  
ალ.

რაც სხევებს სხეისგან შეუგნიათ,  
ის მასა ცნობს თავის თავათ;  
გულს გადაშლის ბუნებისას  
დაფარულის სანახავათ.

ცაში მჭვრეტლობს მისი გონი,  
ჰნედაქ მნათობთ სელას და რბენას,  
ქვეშ ქვესკუნელისაც აზრით ჩაჰევთს,  
იგნებს იმის უხშო ენას.

ცოდნას იდგამს გზათ და ხილათ,  
მიუწდომთან ასასელელათ,

ცნობს ბუნების საიდუმლოს  
კაცთა თვალწინ გასაშლელათ.

თეითაც ტქბება თვის ნარკვევით,  
ქვეყანასაც აძლევს ძალას,  
ებრძების კაცი მით ბუნებას,  
ჰკრებს და ართმევს ხარჯს და ღალას.

ვისაცა აქვს მძლავრი ნიჭი  
და ცილრი ნაზი გრძნობა,  
მას არ უმძიმს ცა და ქვეყნის  
საიდუმლოს გამოცნობა.

მაგრამ კაცთა სიავეში,  
და ამ ფლიდსა ცხოვრებაში—  
იგი ყოვლად უცადია  
და ტყუვდება, როგორც ბაეში.

მაშინ იმას ბნელის შეიღნი  
დაუწყებენ ხარხარს, სიცილს:  
უგნურათ და ბრიყვათ თვლიან  
მიწიერნი მბრწყინავ ცის შვილს.

და ვიცინი: გონით სუსტი  
როს დასცინის ნიჭიერსა,  
როს ცის ამბავს ეუბნება  
ქვეყნიერი ზეციერსა.

„კვალის“ ქორესპონდენციები.



1. უბისა (შორაპის მაზ.) მდებარეობს სადგურ ძირულობან აღმოსალეოთ, თოტმეტი ვერსის სიშორეზე, მდინარე ძირულის ხეობაში. ეს სოფელი თუმცა დიდი აზარის, მაგრამ კაცის თვალს იტაცებს თვისი შეენირებათ: პატარა ჭალა, რომელსაც გარშემორტყმული აქვს დიდრონი გორები, და შუაზე მიიკლაკნება მდ. ძირულა, რომლის მიდამოებს უხევათ ჩიდილავენ ყურძნის ვაზებით დახლართული ხეები. ამ სოფელში დგას დიდებული საყდარი მეთორმეტე საუკუნის ხუროთმოძღვრებისა. როგორც ზეპირ-გაღმოცემიდან ეცით, ეს საყდარი თამარის დროს უნდა იყოს აშენებული (უბის ავაგე საყდარი). საყდარი ბევრნაირათ არის შესანიშნავი: თვი-

სი წარწერებით, მხატვრობით და ძეველი საეკლესიო ნივთებით. საყდარი დიდია და განიყოფება სამ ნაწილათ. გერლდებზე აქით-იქეთ სამწირუელოები აქვს. სამწირულოები თვით საყდრის ოდენა არ არიან, მაგრამ მოყვანილობა საყდრისა აქვთ. თვით საყდარი შეინით მთლათ მხატვრობით არის დაფარული, რომელიც დღემდე ხელშეუხებლათ შენახულა. კანკელი კი ახალი უნდა იყოს, წარწერა მხატვრობაზე მრავალია და ცაცლელათაც შენახულა დღემდე; ხატებიც ბევრი ძეირი ძეირი სიადასია და ზოგს წარწერაც აქვს. აქვე ყოფილა ბევრი ძეველი საეკლესიო ნივთები და ხელ-ნაწერი წიგნები შეისწინები არ მინახავს, რადგან აქაური მდვდლის ხელშია დაცული, გარედან საყდარს სენაკები აქვს მიშენებული. წარწერა თვით საყდრის კედლებზე და სენაკებზედაც მრავალია. აქვე სხევა შენობებიც არი და მათ შორის ერთი შესანიშნავადა: ეს არის კოშკის შჩგავსი, მაღალი და ოთხ-კუთხიანი; კიბე არა აქვს და არც კარები აქვს; თავი ცოტა მონ-გრევია და სანათურები მოჩანს: როგორც მითხეს, იქ პატარა სამლოცველო არისო. წარწერა იმასაც აქვს.

საყდრის სამხრეთის კარები ცურნის ვაჭის ფიტ რისგან არის გაკეთებული; არშინი სიგანე ექნება. უნდა წარმოეიღინოთ, რამდენათ მაღლა მდგარა მა-შინ მჟღრნეობა, როცა ამხელა ვაზები იზრდებოდა ჩეენში. აქ ერთი სამწერაზო გარემოება შევნიშნე, როცა უკანასკნელათ მომიხდა მოსელა: ზოგ-ზოგან ქვის შენობების შესამაგრებლათ კირი წაუსვამთ და ერთგან ამ კირით წარწერაც დაუუარავთ, სხევა წარწერებსაც ეს ბედი მოელის, ამისათვის კარგი იქ-ნება, რომ ამ საყდარს ეინმე მუოდნე პირი დაათვალიერებდეს და ამოიყითხავდეს უყელა წარწერებს, რომ ჩეენ ისტურის მკელეეართ არ დაეკარგოთ ეს ძეირი სიასტორიო მასალა. აქ ბროსსეც ყოფილა, როგორც გაღმომცა თ. პატა აბაშიძემ.

### გრადა მაჭაგარიანი.

\* \*

სად. შოთარიანი. ამას წინათ სადგურ ჭიათერას რომ გამოცილდა სახალხო მატარებელი, ობერ-კონსულტორმა ბილეთები მოვეთხოვა მგზავრებს. ერთს ამ რკინის გზაზე მომუშავე ბერძენს ინჟინერისაგან ბარათი ჰქონდოდა, რომლითაც ნება ეძლეოდა, ჭიათურიდან შორაპნამდის უფასოთ ემგზავრა. გამოართვა კონდუქტორმა ბარათი, აყირდა და უთაბოლო ლანძღვა-გინებით ყველა მგზავრები შეაწუხა. კონდუქტორმა სადგურ სალიეთის უფროსს წარუდგინა საწყალი მუშა ბერძენი. იქ მას ერთი-ორათ გადახ-

დევინეს ბილეთის ფასი. მისმა ყვირილმა და მუდანებამ ვერ მოალბო სადგურის უფროსი ბერძნებეს უფლი. ვაგონებში მგზავრებისაგან ჩამოითხოვა საკოლაგმა ბერძენმა თითო-ოროლა კაპეკი და ისე იყიდა ბილეთი. საკეირეველია ღმერთმანი: სუსტია და უძლეურზე რანაირ იქრიშს მიიტანენ ხოლმე ზოგიერთი მოხელენი, ხაზინის და საზარალო საქმეში კი გაყუჩდებიან. ზემოხსენებული სადგურის უფროსი ის გახლავსთ, რომლის თაობაზე გამოძიება წარმოებს ამ ორი წლის წინათ მისგან ჩადენილი ბოროტ-მოქმედების გამო.

შეტე ივანეს ძე აბდუშელიშვილი.

### ლემალეთის ამბები.



ლემალეთინობაზე 17 პრ. ყოველმა ღონისძიების და თავ განწირულმა ბრძოლამ ბერძნებისამ ელასონის საზღვრებზე უფერულათ ჩაიარა. ალდგომა დღეს საშინელ ბრძოლას შემდეგ, რომელიც გაკედელდა შაბათს დილიდან მოკიდებული კეირა-ალდგომის დილმდის თათრებმა ძლიერ ბერძნები, აიღეს ქ. ტირნაოსი და იმ დღესვე საღმოს შევიდენ ქ. ლარისაში (თათრულათ, იენიშეირ). აქ მცხოვრებმა ურიებმა ხელებ-გაშლილი მიიღეს თათრის ჯარი და სინავავებში სულთან ჰამიდს ლოცვა-კურათხევა უძლენეს. ურიებს გარდა ქვეყანაზე დღეს თათრის მადლიერი აღარავინ დარჩენილავო — თქვა თურმე მაიორმა მემელ-ბეგმა, როცა შევიდა თავის კავალერიით ქალაქში. მართლაც, ურიებს გარდა იქ არავინ დახევდრიათ. დუქნების მეტი ნაწილი დაუკეტელი იყო თურმე. თათრები ამ გზობისათ ძლიერ რიგიანათ მოიქცენ, არც ერთი დუქნისთვის და არც რამ საქონლისთვის ხელი არ უხლიათ. ზოგი შეუძლო, ანუ დაკოდილი ბერძნები ჩემარა მოაგრივეს და სავათმყოფოებში დარიგეს. მეორე დღეს ქ. ლარისიდან თათრის ჯარმა გაიწია წინ ორი საათის მანძილზე. შეტაკება აღარ მომხდარა, ბერძნები მთებში შეიხიზნენ. ალდგომის მეორე დღეს აქ გამოუშვეს. სურათი ალასონის მხედართ-მთავრის ეთებ-ფაშისა, რომელიც ოცი ათასამდის დაიყიდა ორ დღეში. სურათს ჰქონდა შემდეგი წარწერა: „ნებითა ღებისითა და მოწყალებითა უდიდესის სულთანისა დიდათ გამარჯვებულის აბელ-ულ-ჰამიდისა შეედა და აიღო მარშალმა ეთებ-ფაშშ ლარისა და მიღის წინ“. როგორც ირწმუნებიან აქაური გაზეთები ყველა ის ადგილები, რომელიც ოსმალეთმა ნება ყოფლობით



ო ს მ ა ნ - ფ ა შ ა .

დაუთმო საბერძნეთს, უკვე აღებულია. გუშინ გამოვიდა სურათი გაზი-ოსმან-ფაშისა, რომელიც დაინიშნა სარდარ ეკამათ (უმთავრეს მხედრათ) მთელ აღმოსაელეთის ჩუმელიაში. ის ხმები ტყუილია, ვითომ ეთემ-ფაშა გამოცელილიყოს და მის აღგილას გაზი-ოსმანი დაენიშნოსთ. ოსმან-ფაშის გაგზავნა შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია: როგორც ჩენი წინანდელი წერილიდანაც ჩნდა, პირველათ სანამ ჯერ ომი ოფიციალურათ გამოცხადდებოდა, ბერძნებმა და-აფიქრეს თათრები: თათრებს ეკონა, თუ ბერძნებს ეკროპის რომელიმე დიდი სამეფო ეხმარებაო, ამი-სათვის დიდ ყოფილობის იყვენ, გამოცხადდებიათ ომი თუ არაო. გაზი-ოსმან-ფაშა, ჰეირედინ-ფაშა (ეს უკანასკნელი გაგზავნა იანინში უფროს კომანდრათ) და დელი ფოატ-ფაშა ომის გამოცხადების მომხრეების მეთაურები იყვენ და ყველა დანარჩენი სულთანთან ერთათ უარჩე იდგენ. ბერძნებს რომ არ დაერლევათ მშეიღობა, თათრები ომს არ გამოცხადებდნ, მაგრამ ბერძნები 25 მარტს პირველათ დაეცენ ქურდულათ თათრის სიმაკრეებს და დიდ-ძალი ზიანი მისცეს, მხოლოთ რაკი ამ დაცემაში ჯარი არ ერია, თათრებს მავიერი არ გადუხდიათ. 5—6 აპრილს დამე ბერძნები მეორეთ დაეცენ თავს თათრებს, ახლა კი ყველა ერთათ, 28 საათის ბრძოლას შემდეგ აჯღ-

ბეს თათრებს და დასწიეტუკანი პირუ-ული სიმაგრე თათრებისა, საცაშო-წინავე ჯარი იყო დაბანაკებული ალა-სონის თევზე ბერძნებმა დაიჭირეს. ჯერ კიდევ ომი გამოცხადებული არ იყო. ეთემ-ფაშამ ორი დეპეშა გამოგზავნა სულთანთან, საცა თხოულობდა ომის დაწყების ნებას. ბრძოლა თითქმის არ შეჩერებულა. ეს პირ-ული დეპეშები იზეტ-ბეგის მეოხე-ბით, როგორც ამბობენ, სულთანს არ უნახავსო. ამ გარემოებამ ეთემ-ფაშა ძნელ მდგომარეობაში ჩააგდო, ბოლოს მან გამოცხავნა დეპეშა ჯარის მინისტრ რიზა-ფაშასთან, ამ უკანასკნელმა ჩერა სულთანს მიართვა. ამ დეპეშამ გამოაშეკრავა უწინდელი დეპეშების დაკარგვა, ამ მიზეზით იზეტ-ბეგი რამოდენიმე დღით დათხოვნილი იქნა სარაილი და სამი დღე თავის სახლში იჯდა. ამბობენ, ვითომ მას 30 ათასი ლირა ქრთამი აელოს დეპეშების დამალებისთვის და ვითომ ის დატყვევებულიც იყოვო. ეს სიმართლეს მოკლებულა. ზოგიც ამბობს, ვითომ მას აელოს 50 ათასი ლირა ინგლისის მთავრობილან, რომ გვიშუამდგომლე, სულთანმა კრიტის კუნძული მოგვყიდოსო, მყითხეველი თვით მიხედება ამნაირი ყბე-დობის საფუძველს, როგორც პიველი, ისე მეორე და მესამე სრულიად ლოლიკას მოკლებულია. იზეტ-ბეგი თუმცა იმ პატივში ალარ არის ახლა, როგორც პირველათ იყო ის, მაგრამ ისევ სასახლეშია სულთანთან და რომ კიდევ ყველაზე მეტათ მიღ-ბული, ამას ეჭვი არ უნდა. ამ ზემოთ მოხსენებულ დეპეშეს შემდეგ, აქედან წაგიდა ბრძანება ომის დაწყების ნება-რთვისა; მოხდა მეორე შეტაკება 9—10 აპრილის ღამეს, საცა კიდევ გაიმარჯვეს ბერძნებმა. დეპეშების მიმოსლა შეჩერდა, ფოსტაც გაწყდა. ბერძნებმა რამოდენიმე კილომეტრზე რკინის გზის ლიან-დაგი აშალეს. ეთემ-ფაშას საქმე გაუჭირდა, ერთი მხრით საშინალი შებრძოლი ბერძნებისაგან და მეორე მხრით სტამბოლიდან წიგმასავით მიმავალ დეპე-შებისაგან, მან ბრძანა დეპეშების ძაფების შეწყვეტა. სამ დღეს ომის მოედნიდან სრულიად ამბაეთ არ მოსულა. როგორც ჩნდა, ბერძნები წინ მოიწყვდენ.

11, 12 და 13 აპრილს საშინელი ბრძოლა იყო, საცა ორი მხრით 30 ათას კაცმდის გაწყდა. მკვდარი თაორების მხრით მეტი იყო. ამ ამბეის უცოდინარობამ ააღელვა აქაური დიპლომატები და სულთანმა საჩეროთ გაფარგვა 12 აპრილს სალამოს გაზისმან-ფაშა, იმ დღეს კიდევ არაფერი და მეორე დღეს სალამოს მოიტანა დეპეშამ ამბავი, რომ ბერძნები უკან გადაედენეთ და ნახევარ საათში ტირნავოს აეიღებთ. ამ დეპეშას შემდეგ, მართლა წავიდა ოსმალოს ჯარი წინ. აიღეს ტირნავო, ლარისა, ტრიკალა და, როგორც დღეს იუწყებიან შევიდენ ქ. ეოლოში, ქ. ლარისაში პირველათ შევიდა ლევი გენერალი შტაბის მაიორი ერქანი ხარბი (სამხედრო აკადემია დამთავრებული) სეიფულაჳ-ბეი, რომელსაც ებობა სულთანის წყალობა და მაიორიდან პირდაპირ გენერალ-მაიორი გახდა. ოსმან-ფაშის ადგილას გამოცხადებამ კიდევ უფრო შეავულიანა ჯარი და გაცხარებული წინ მიღიან. აქ მოვიდა ამბავი, რომ მეცე გიორგი 30 ათასი კაცით იანინაში წავიდა საჩეუბრათაო, ბერძნები. აპირობენ სმირნოს ყუმბარები დაუშინონ. დღეს სმირნოს აესტრიის ლოიდის კომპანიის დირექტორმა აქაურს დირექტორს დეპეშა გამოუგზავნა არი ცარი ცარიელი გემი გამოგზავნე საჩეროთაო. საქმეები ფინთათ აირ-დაირია, საყველთავო ომის სუნი მოდის. აქ თაორები აღტაცებაში არიან. ეინც უნდა მიეხმარონ ბერძნებს, გარდა რუსისა, ჩევნ არ გვეშინია. ქუჩები სავსეა. კონსტანტინოპოლმა გაიღვიძა, თაორები ქეიფსა და ერთმანერთის ლოცვა-კოცნაში არიან. საწყალ ბერძნებს კი ხმის ამოღების რცხვენით, მხოლოთ მაინც იმედს არ იტეხენ, კიდევ დარწმუნებულები არიან, რომ გამარჯვებული ისინი გამოვლენ. ამას წინეთ აქაურმა

ერთმა ბერძნებმა მიიღო ისტატური წერილი: „შელენე და იანი დავაკორწილეთ, — იწერებოდა თავ-მომწონე ბერძნის პატრიოტი, — იანი ძლიერ მდიდარი კაცია, ელენი ბელნიერი ქალი შეიქნაო“ (ეითომ ქალაქია იანია ელადას (საბერძნეთს) შეუერთდა). მართლაც ჯერ კიდევ გამარჯვების ბოლოს უერავინ გადაწყვეტს. თაორის საზღვრები ისე არის დახლართული, რომ შეიძლება აქ ელასონიში თაორებმა გაიმარჯვოს და სხვაგან ბერძნებმა. ქვეყანა გაშტერებულია ბერძნების სიგმირით. თვეთ ეთემ-ფაშა წერს თავის აქაურ მეგობრებს: „ეს თავ-განწირული ომი ბერძნებისა ლარისის ველზე—მეორე ტრიადის ომს შეეღრებაო. სტამბოლს მყგზეთეები გაკეთდენ. დღეში 50—100 ათასამდის იყიდება თაორული გაზეთები და ცალკე სუპლიმანები. საათი არ გავა, რომ რამე ახალი ამბავი, არ გამოვიდეს. ყველას თვალყური გაფაციცებული აქვს, ახალითარს ამბავს არ უშვებენ უყურალდებოთ. ეთემ-ფაშა ყოფილა გაზი ოსმან-ფაშის აფიცრათ ნამყოფი პლევნაში. პლევნის ომში ის მაიორი იყო, ახლა მარშალია. გუშინ გამოვიდა მეორე სურათი ოსმან-ფაშისა, მისი ახალი საომარი გეგმითა და ბარაკებით, აუარებელი გაიყიდა—ჯერ ბერძნის კათოლიკები და ახლა ყველა ბერძნის ხელ-ქვეითნი ფრანციის საელჩომ ჩაიბარა სათაორეთში. გამოვიდა სულთანის მეორე ირადე, რომ 18 წლის ქვემოთ და 35 წლის ზემოთ ყველა ბერძნის ხელ-ქვეითს შეუძლია დარჩეს სტამბოლში და დანარჩენი კი უეჭველათ უნდა გავიდეს აქედან. აქ ხმა დაიღის, რომ, ეითომ მოელი ეერაპა თაორისა და რუსის წინააღმდევ საომრათ ემზადებოდეს. ყველა თაორის ფონდებმა აიწია, რკინის გზის ობლიგაცია ხუთი ფრანკით აიწია. მანეთი დავარდა ერთი აბაზით. აქ ჯერ კიდევ საგრძნობელი სიცივეებია. მიროვით ოტგოლოსების კორესპონდენციი ბ-ნი იურიკაზბეგი ბერძნებთა და თაორის საომარ საზღვრებზე და დღესის ლისტოკის კორესპონდენციი ბ. გარმონიუსი მიღიან ამბის დაწვლილებით გასაკებათ. რადგან აქ ამბების გაგებას დიღი შრომა და წვალება უნდა. სომხები ძლიერ უკმაყოფილონი დარჩენ ბერძნების უბელურებაზე: „კაცები არ ყოფილანო“ — ამბენ. აბა, ჩევნ სომხებს გვქონდა მათსავებრ თოფის-უფლება და ჯარი, ნახავდით, რას გიქმოდითო. ბ-ნი იურიკაზბეგი ცდილობს ნება-რთვა აიღოს აქაური მთავრობიდან, რომ აქ რუსული უერნალი გამოსცეს, რომლის პროგრამა შემუშავებულია და წარდგენილი სამინისტროში. ამ გაზეთს ექნება აზრათ გამოარკების აღმისავლეთის მდგომარეობა და მიაქციოს განსაკუთრებითი უურალდება კავკასიასა და სათაორეთს. სასომხეთო-ზან: ზეითუნიდან, მუშიდან, ბათ-



ე თ ე მ - ფ ა შ ა.

ლისიდან, სასუნიდან, თოკათიდან — ეფლების წერილები მოუვიდა აქაურ სომხის პატრიარქს, შეგვეწიეთ და აქ დარჩენილი ობლები მანდ წაიყვანეთ და მანდაურ მდიდარ სომხობაში დარიგეთო. სრული 12 წლის დალმა ორ წლამდის ობოლი ბავშები მთელ მცირე აზიაში აღმოჩენილი 50 ათასი, რომლის აქ მოყვანასო — აცხადებს პატრიარქი — 50 ათასი ლირა უნდაო, და რაკი ეს ფული ჩვენ არა გვაქვს, ამისათვის ვთხოვ, უველა პატიოსან სომხის ოჯახს შემწეობა მოგვცენ, რომ უსუსური ბალები შემშალით არ ამოწყდენო. პატრიარქს გადაუწყვეტია ათასი სობით ჩამოიყეანს აქ და, ასე რამდენიც შესაძლო იქნება, ბალები გადარჩინოს ამოხოცეისაგან. ამას იქით უოველივე დეპეშა უეჭველათ სულთანს უნდა მიერთეს შეუქერებლათ — გაღუკითხეელათ.

ისე ჟაჭველი.

## სამშაბლოსხვის თავგანწირული ქალი.

**ლ**ენე კოსტანტინიდის ქალი არის ჩეილმეტის წლის ახალგაზდა ბერძნის მეომარი, თაოსნობს სამიათას თავგანწირულს ბერძნს. ის არის თბილისელი ბერძნ კბილის ექიმის ასული, რომელიც ამ ცოტა ხანში ბათუმში გადასახლდა და ემზადებოდა სამშაბლო მხარეში გამგზავრებას. ამის გულისთვის ქალი ბათუმშივე სწავლობდა სამხედრო იარაღის ჩმარებას. რევოლუციელს ჩინებულათ ისვრის. ის მორთულია კაცურათ, ქულზე საბერძნეთის სამხედრო ნიშანი აკერია, ხელში უჭირავს დროშა, ცხენზე ზის და მუდამ წინ უძლეის თავისუფალ მებრძოლთ.

## დუტუ მეგრელის წერილის გამო.

**ა**ლიან აჩქარებულა, ბ-ნი დუტუ. ცოტა რომ მოეთმინა და „კეალის“ № 16, 17 რომ წაეკითხა, იქ ცხადათ შეიგნებდა, თუ ეის ვუწოდე და ან რა აზრითაც ვუწოდე „მარგალის სკუა“. მე მხოლოთ გულში ნაკლათ დამჩრია იმის შეტყობა, რაც აქამდის არ მაკერილა. დუტუ შეგრელი, რომელიც ასე კარგათ იცნობს ჩემ ხანგრძლივ მოქმედებას ქართულ ლიტერატურაში, ის, რომელსაც ასე ზემოწენით უნდა ჰქონდა შეგნებული ახლანდელ პარტიებს შორის საოცარი გამწვავება და

იმათი. უმართებულო მოქმედება, რომლის შემცირებული მო, ვვონებ, იმასაც აცნობეს პირადათ, მიყვირს, როგორ აპყვა მის მიერვე განკიცხულების ფეხის ხმას? განა ბოროტი გესლით ჩემდამო აღვილი კაცის მეტს შეეძლო დაწერამებინა ჩემთვის, ვითომც მე მტერი ვიყო ჩემი სამშობლო კუთხისა, საცა დუტუ მეგრელსაც და მეც პირველი ნეტარი სიყმაწევილის დრო თანასწორათ გაგვიტარება. ხომ დუტუვე ხსნის, რომ „მარგალი“ მეგრულათ ნიშნავს განუვითარებელს გლეხსო. სწორეთ ამ აზრით, ვიხმარე ეს ეპიტეტი იმ პირთა დასახსიათებლათ, რომელთაც თვით არ იციან, რასა იქმონან.

არ დავთარავ, ფრიად განუჭერეტლათ მიმაჩნია დუტუ მეგრელის მხრივ ასეთი საქციელი და ბანის მიცემა იმ პირებისა, რომელნიც არასფერ უმართებულო მოქმედებას არ ერიდებიან, არც კუდის გამობმას, არც ბეზლობას, არც ჭორს, რომ გათახსირონ სახელი იმ კაცისა, რომელიც მათ კრიჭაში უდგი და ამხილებს უმართებულო მოქმედებას.

,მართალი ვიტუვი, შევიწები ტეუილის მოამზე ჟად? გერა გუმებ საძაგელთა, უფერულთა შინასაფერად. მე თუ გინდა თავიც მომჭირან, ცანი გახდეს გასაქრად, ვინც არა ჭიავს გახაბერად, მე კერ ვიტუვი გასაბერად“.

როგორც წინათ მოხდა, დღეს, როცა ქალაქის აჩქევნების დრო მოახლოვდა, კვლავ ავტეხეთ ბრძოლა სომხების წინააღმდეგ და ვუკუინებთ: რათ შეგიძნიათ ჩენი აღვილ მამულებიო, ქალაქის გამგეობა ხელში რათ ჩაიგდეთო? ერთი ვიკითხოთ, სომხების ბრალი იყო ახლანდელი საქალაქო კანონის შემოღება, თუ.... რალა სომხებს ჩავცილებივართ, მამულებს რათ იძენთო, განა სხვები კი არ იძენენ ჩვენ ნაკუთვნ მიწა-წყალს? გაიგეთ, ბატონო, რომ ახლა აღებმიცემობის და მრეწველობა-წარმოების ხანაა. ვისაც უნდა თავისი არ დაჭკაროს და ცარიელზე არ დარჩეს, თვითონ უნდა გააძრიოს ხელი, მისდიოს დროის შესაფერ მოთხოვნილებას, შრომას, ვაჭრობას, წარმოებას, ყოველნაირ აღებ-მიცემობას, ამასთან მომჭირეოთ, ხელმოჭერილათ უნდა იცხოებოს, ფული შეიძინოს და, რაკი ფული იჩენს თავს, თვით ეს ფულივე დაბრუნებს ფუქსატობით დაკარგულ ადგილ-მამულებს ამაზე უკეთესი იარაღა არც სომხებს ჰქონიათ ხელში ჩვენი მამულების შესაძნათ. ავილოთ ხელში ესვე იარაღი და ვიწყოთ მოქმედება. განა ჩვენ რომ ვილანძლოთ და ვიყვიროთ, ამითი რასმე დაგვიბრუნებენ? „არ გათეთრდება ყორანი, რაგინდ რომ ხეხო

ქეშითა; მტერნი არ შეგვიბრალებენ ვაგლახითა და ერშითა”.

მაშ ჩვენი საქმე ყოფილა ეკონომიურ ნიადაგზე გრძოლა და სხვა არაფერი. დალოცა ღმერთმა, ახლა კრედიტი ყველას ეძლევა და ყოველგან გახსნილია. ფულის შოვნა ადვილია, ოლონდ ნაწარმოები, ნაოფლარი გქონდეს. ნუ გვინდა ჩვენსა და მყიდველს შორის შეამავალი ჩარჩი, რომელიც ჩვენგან იაფათ ყედულობს, მყიდველს ძეირათ მიჰყიდის და ჩვენით აღებულ მოგებას თვითონ იდებს ჯიბეში. და თუ დღეს მიაქს ვისმე ჩვენი მოგება, გამოდის, რომ ჩვენვე ვყოფილვართ მიზეზი ჩვენივე გაღატაკებისა. აი, რომ ეს არ მოხდეს, დავაწესოთ მწარმოებელთა ამხანაგობანი. მაღლობა ღმერთს, ვკონებ კიდეც შეღა გორის მწარმოებელთა ამხანაგობა. მოვფინოთ მისთანა ამხანაგობით ჩვენი საქართველოს კუთხეები და ათი წელიწადიც არ გაიელის, რომ ვაჭრობა ისევ ჩვენ ხელში გადმოვა და ჩვენი ნაწარმოებით გამდიდრებაზე სხვებმა ხელი უნდა აიღონ. ამისთვის მეზობელთან შურისა და მტრობის ჩამოგდება კი არ არის საჭირო, არამედ ქართველ ხალხს უნდა ავუხსნათ რომ მან მოპყიდოს ხელი თავის ქვეყნის წარმოებას და მივაწოდოთ კრედიტიცა. განა თფალისის საადგილ-მამულო ბანკის გამგებლებს კი არ შეეძლოთ ეკისრათ ეს საქმე? მავრაშ იმათ ამის მაგიერათ მოელი ათი წელიწადი ერთმანეთის ქიშპობაში გაატარეს, ქმა ქმას გადამტერეს და ბოლოს ისეთი დაწესებულებაც თაქს დაატყდათ, რომ იმის გამო ერთი წლის განმავლობაში თფილისის საადგილ მამულო ბანკს ოთხმოც და სამი ათასი მანეთი მოგება ხელიდან წასვლია და ახლა არც კი იციან, სათავად-აზნაურო სკოლა რითი შეინახონ. მე მგონია, შურისა და მტრობის ჩათვეგას, სათავად-აზნაურო ბანკს გაფთხილებოდენ და ეს ერთათ-ერთი ქართველების საქველმოქმედო წყარო არ დაეშროთ, ის ემჯობინებოდა.

ისინი გვეუბნებიან თავის გასამართლებლათ, ჩვენ სომხების ერს კი არ ვებრძეითო, ჩვენ ვებრძეით თფილისის სომხობასო, იმათ ჩარჩობას, იმათ უკულო და უწყალო მოქმედებას ჩვენ წინააღმდეგ, იმათ უმართებულო საქციელს, რომ ქართველებიდანაც იმდენი ხმოსნები არ უნდათ, რომ აირჩიონ, რამდენსაც სომხებიდან ირჩევენია.

თუ გვინდოდა, რომ თანასწორი რიცხვი ხმ.ის-ნებისა აგვერჩია, იმაზედაც უნდა გვეზრუნა, რომ თანასწორი რიცხვი ამომრჩეველებასა წარვედეგინა. ეს მაშინ მოხდებოდა, როცა ჩვენ ქართველებისაც იმდენი სახლები აკეც შენებია და შეგვეძინა თბილის ქალაქში, რამდენიც დღეს სომხებს აქს. მერე და არ

შეგვეძლო? დიახაც შეგვეძლო, მეთაურები და შეღებული კაცები რომ მართლაც საქმის კაცები გვყოლოდენ.

ამ ხუთი წლის წინათ ერთმა ჯვარშა თფილის ინტელიგენციისამ დაარსა ქართველებისათვის სახლების აშენებელი ამხანაგობა. ამხანაგობის ას მანეთიანი პაიებიც კი იყო გადაჭრილი. მერე რაქნა ამ ამხანაგობაში? კეთილა აზრი აზრათ დარჩია და საქმე კი არ გაკეთდა. ვინ იყო ამაში დამაშავე? ისევ ქართველების უდარდელობა. განა არ შეეძლოთ, ამ ამხანაგობას დახმარებოდენ ჩვენი შეძლებული ქართველები, ჩვენი ბანკები და ყოველი უსახლ-კარო ქართველი თფილისში დაესახლებინათ? რა უჭირდათ ჩვენ ქართველ მღიღრებს, რომ თავისი თანხით დახმარებოდენ ქართველებისთვის სახლების აშენებელ ამხანაგობას. აეშენებიათ სახლები, დაეგირავებინათ ისინი საადგილ-მამულო ბანკებში, თავისი ფული ზედნადები სარგებლით აეღოთ და სახლი თფილისში მობინადრე ქართველისთვის დაესაკუთრებინათ. თავის ფულსაც კარგათ ასარგებლებდენ და ქართველებს თფილისის ქალაქის გამგეობაშიაც დაამკვიდრებდენ. ჩვენი ბანკირები და მდიღრები რომ მართლა ქვეუნის ნამდვილი გულშემატკიცარი ყოფილიყვენ, განა ასეთ საქმეს არ ჩაჭიდებდენ ხელს, განა ფულიან ქართველებს ვერ მოიბირებდენ, რომ სახლის აშენებელი ამხანაგობისთვის ზურგი მიეცათ? დიახაც. ეს ხომ მისთანა რამე შეუძლებელი საქმე არ არის, რომ ქვეყანაზე არ არსებობდეს. ამერიკაში ამნარათ მილიონობით აბინაებენ შეუძლო ხალხს და შესაკუთრებათ ჰელიან შას; ის კი არა, მოელ ქალაქებს აშენებენ და თვითონაც მოგებას მილიონობით ატრიალებენ.

წარსულ არჩევანებში ჩემი მეთაურებმა ხომ დაინახეს, ქართველებს ცენზის უქონლობით რა მოუკიდათ? მაშინევ რომ შედეგმოდენ ფულიანი კაცები ასეთ საქმეს ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკების დახმარებით, ახლა, ოთხ წელს შემდეგ, ხუთას ქართველი სახლის შეპატრონე და ქალაქის ამომრჩეველი მანც გვეყოლებოდენ. მაშინ, დამერჩმულეთ, სომხებიც ისე ამაყათ აღარ მოგვეკიდებოდენ და მდაბლათაც თაქს დაგვეკრაედენ. ჩვენ კი აღარ გაგიჩდებადა და საქმე იმათთან მისასვლელათ, თვით ისინი მოძძანდებოდენ ჩვენთან და უკრა მეგობრულათაც, ეიდრე ახლა. ასეთი შედეგი აქეს ეკონომიურათ ბრძოლას. ასეთ ბრძოლას ვერც არავინ დაგვიშლის და ამისთვის ვერც არავინ დაგვეძურება. ხოლო ეროვნულათ მტრობის ჩამოგდება ორივესთვის გამანადგურებელია.

აი, ეს მოსახრება მქონდა წინ წამდლენილი სა-

წინააღმდეგოთ, როდესაც ზოგიერთი ვაჟბატონები გამოხტენ და უდრიოდ დროს შურისა და გესლის ჩამოთვესა დაიწყეს ორ მომეზობლე ერთა შორის. მაგრამ ნათქვამია: „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზ-მული უნდა ჰყავდესო“.

გ. წერეთელი.

„მე თ უ ი ს!“

**(A)** ც და ერთი წლის ჭაბუკი ჰასანა იჯდა თა- ვის წისქვილ წინ და ლრმათ ჩაფიქრებული მიჩერებოდა ერთ ადგილს.

